## შპს ”ტელეკომპანია მზე”-ს გასული წლის საქმიანობის ანგარიში

შპს ”ტელეკომპანია მზე”-ს გასული წლის საქმიანობა მიმდინარეობდა კომპანიის კონცეფციის შესაბამისად. ტელეკომპანია 26 იანვრამდე ახორციელებდა მაუწყებლობას მთელი საქართველოს მასშტაბით ინტერნეტ ტექნოლოგიების საშუალებით და მიზნად ისახავდა საზოგადოების ჩართულობას, (მუსიკალური/გასართობი) გადაცემების ჩვენებას სატელევიზიო ეთერით .

ჩვენმა მაყურებლებმა არაერთხელ გვთხოვეს ტელეეთერში გაგვეშვა საინფორმაციო გამოშვება და ასევე პოლიტიკური თოქშოუ ასევე ტელევიზიაზე წვდომა მიგვეცა სხვადასხვა საკაბელო მაუწყებლების მომხმრებლებისათვის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჩავთვალეთ საჭიროდ რომ , ჩვენი მაყურებლები გაგვეხარებინა და საინფორმაციო გამოშვების და სხვადასხვა პოლიტიკური თუ შემეცნებითი გადაცემები ეთერში გაგვეშვა. აქედან გამომდინარე გასული წლის 26 იანვარს განხორციელდა არხის მოდიფიცირება ტელევიზიამ საერთო მაუწყებლობის უფლება მოიპოვა და ტელეკომპანიის ეთერში გადიოდა მაყურებლისათვის უკვე კარგად ცნობილი გადაცემები. გამოვყოფთ საინფორმაციო პროგრამა „მზერა“-ს რომელსაც მაყურებლები ელოდნენ.

შპს ”ტელეკომპანია მზე” უწყვეტად განაგრძობდა „ მზე “-ს მაუწყებლობას ამ არხის კონცეფციისა და საკუთარი სარედაქციო დასაბუთებების შესაბამისად.

შპს ”ტელეკომპანია მზე”-მ მოახერხა ერდროულად რამდენიმე პლათფორმაზე მაუწყებლობის გავრცელება ინტერნეტის (საქართველო) სხვა ტექნოლოგიის (საქართველო) საშუალებით.

## შპს ”ტელეკომპანია მზე”-ს მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

### დაფინანსების წყაროები:

შპს ”ტელეკომპანია მზე” არის მოქმედი ორგანიზაცია. კომპანიას არ გააჩნია ფინანსური სახსრები თუმცა აქვს შესაბამისი მოკრძალებული სტუდიური და სატელევიზიო აპარატურა . შემოსავლების არ ქონის გამო ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის შემოწირულობა ასევე აქვს რეალური პესპექტივა და დასახული გეგმა იმისა რომ მიიღოს საკუთარი სახსრები საეთერო დროის გაყიდვით და რეკლამის განთავსებით სატელევიზიო ეთერში.

### საქმიანობის გეგმა:

შპს ”ტელეკომპანია მზე”-ს მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმა დასახულია მისი კონცეფციის შესაბამისად.

„მზე"-ს დამოკიდებულება ამ იდეის მიმართ ცალსახაა და ვთვლით, რომ ყველა მიზანდასახული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი მიაღწევს თავის მიზანს, რაც მხოლოდ მისი გამარჯვება კი არა, არამედ თავისი ქვეყნის გამარჯვებაცაა.

ქვემოთ წარმოდგენილია "მზე"-ს მიზნები ამოცანები და კონცეფცია, რის განხორციელებასაც გეგმავს “მზე”.

## “მზე”-ს მიზნები და ამოცანები

**“მზე”-ს** მიზანია მოიძიოს და თავის რიგებში დაარეგისტრიროს, პირველ რიგში, პროგრესუ-ლად მოაზროვნე ახალგაზრდები, რომელთა ასაკი განისაზღვრება 18-დან 25 წლის ჩათვლით და რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ წარმოდგენილი პროექტების წარმატებით განხორციელებაში;

**“მზე”-ს** მიზანია ხელი შეუწყოს საუკეთესო პროექტების ავტორებს თავიანთი ჩანაფიქრის რეალიზებაში;

**“მზე”-ს** მიზანია კავშირი დაამყაროს უმაღლეს, პროფესიულ და საშუალო სასწავლო დაწესებულებებთან (კოლეჯებთან, უნივერსიტეტებთან, საჯარო და კერძო სკოლებთან, და ა.შ.), შექმნას მცირე, 2 ან 3 ახალგაზრდისგან შემდგარი ჯგუფები აღნიშნულ დაწესებულებებში, შემდგომში ტელევიზიის ორგანიზებულ და განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში მათი ჩართვის მიზნით;

**“მზე”-ს** ამოცანაა შექმნას სხვადასხვა მუსიკალურ გასართობი გადაცემები;

**“მზე”-ს** მიზანია მოახდინოს პროექტების, მიზნების განხორციელება, რომლებიც არსებულ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება, ასევე პოპულარიზაცია გაუწიოს საუკეთესო პროექტებს და წინადადებებს “მზე"-ს სახვასხვა ეთერის საშუალებით და ასევე “მზე"-ს ვებ-გვერდზე.

**“მზე”-ს** მიზანია ტელევიზიის სპეციალისტების მეშვეობით მოსწავლეახალგაზრდებთან ჩაატაროს სემინარები, ტრეინინგები, კონფერენციები პროექტებში ჩართვის შესახებ;

**“მზე”-ს** მიზანია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად, რომელიც გამოიხატება ზემოთ აღნიშნული ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდების ტელევიზიის მუშაობაში ფართოდ ჩაბმით, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში;

**“მზე”-ს** ამოცანაა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოიძიოს ის ფონდები, ორგანიზაციები და საქველმოქმედო კავშირები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქველმოქმედო პროექტებში;

**“მზე”-ს** მიზანია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა შესაძლებლობების ფარგლებში;

**“მზე”-ს** ამოცანაა შექმნას სხვადასხვა პოლიტიკური თოქ-შოუ;

**მზე”-ს** მიზანია სწორი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს მაყურებელს.

## “მზე”-ს კონცეფცია

"მზე" კონცეფციას წარმოადგენს მაუწყებლობა საქართველოს ფარგლებში. კონცეფცია მოიცავს მაყურებლისთვის მრავალფეროვანი ფორმატისა და შინაარსის გადაცემების მომზადებას. "მზე“-ს ეთერში წარმოდგენილი იქნება :

**გასართობი პროგრამები** - სხვადასხვა ვიქტორინები, კონკურსები, რეალითი შოუები და გადაცემები.
**საავტორო პროგრამები** - მოწვეული იქნებიან ავტორები სხვადასხვა სოციალური ფენიდან. ავტორებს საშუალება მიეცემათ მოამზადონ გადაცემა თავისი შეხედულებისამებრ, სადაც შეძლებენ გამოთქვან თავიანთი სუბიექტური აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე ტელევიზიის თემატიკის ფარგლებში.

**მუსიკალური** - პოპულარიზაციას გავუწევთ ქართულ ფოლკლორს, ესტრადას. ჩვენს ეთერში ხშირად იტრიალებს ქართველი პოპ შემსრულებლების სიმღერები. ვეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართული შოუ ბიზნესის განვითარებაში.ასევე მუსიკალური გადაცემები.

**სპორტული** - საფეხბურთო მატჩები , მატჩების მიმოხილვა , სხვა სპორტის სახეობების მიმოხილვა, მოწვეული იქნება გადაცემებში სპორტის წარმომადგენლები.

**შემეცნებითი** - მომზადდება გადაცემები, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და ისაუბრებენ სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაზე და განვითარებაზე.

**ბიზნესი** - მომზადდება გადაცემები, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები , ისაუბრებენ მათ საქმიანობაზე და განვითარებაზე.

**პოლიტიკა** - მომზადდება თოქ შოუ, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა პოლიტიკის წარმომადგენლები და არა მარტო პოლიტიკოსები, ისაუბრებენ მიმდინარე პოლიტიკურ შიდა და საერთაშორისო მოვლენებზე.

**საინფორმაციო პროგრამა „მზერა“** - მივაწვდით მაყურებლებს ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას მიმდინარე სხვადასხვა შიდა და საერთაშორისო მოვლენებზე.

"მზე"-ს ეთერში არ დაიშვება ძალადობა, დისკრიმინაცია რელიგიური და სოციალური ნიშნით, დიდი ყურადღება დაეთმობა ეროვნულ და კულტურულ ღირებულებებს.

ტელევიზია "მზე" ეფუძნება მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვასა და მაყურებლისათვის დადებითი/პოზიტიური განწყობის შექმნას.

შპს „ტელეკომპანია მზე“-ს დირექტორი
საბა მანთიძე

Saba Mantidze
33001081181
Digitally signed by Saba Mantidze
Date: 2024.01.29 15:34:02

შპს „ტელეკომპანია მზე“ (ს/კ 437066256 ); მისამართი: ოზურგეთი (3500) ორბელიანის 89;
ტელ: 599 40 20 91 (viber) ; ელ-ფოსტა: saba_mantidze@inbox.ru , info@tvmze.ge ; ვებ-საიტი: tvmze.ge